1 ივნისი, 1908 წ.
ფასი ყველგან 10 კ.
იუმორისტ. ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი

№ 33





### „ცოცხალი“ ექსპროპრიაცია

სანამ ვიყავ ახალგაზდა
ფუში მქონდა დაფუკული,
ვნატრობდი და არ მღირსა
სიყვარული დალუპული.

როს დავბერდი, დავუძლურდი
ფუში ძალზე გამებერა,
შანტაჟისტებს შევუყვარდი
ამივარდა გულის ძგერა.

ერთ მშვენიერ წყნარ სალმოს
მომიტაცეს მე ბედკრული,
ოხრათ დამრჩა ყველაფერი
ცოლი შვილი, ხორცი, ფული.
ვზივარ სადღაც ბნელ სარდაფში
ორი ათას მზითევს მთხოვენ,
მეგობრებმა თვარ მიშველეს
საიქიოს გამაუხოვენ.

**ირეთელი.**

---

## ახალმოდის შანტაჟისტობა.

როცა გაძნელდა ცხოვრება,
გამრავლდენ შანტაჟისტები,
წერილმა მოდა დაჰკარგა—
დაცარიელდა ქისები.
მაშინ ამ ჯურის გმირებმა
გამოიცვალეს ტაქტიკა
და მოიგონეს სხვა წყარო:
უფრო სწრაფი და ანტიკა.
მოიტაცებდენ ქუჩაში
მოსწავლეს მდიდრის შვილებსა
და მამას გამოსასყიდათ
ქანქარს მოსთხოვდენ მსხვილებსა.
კვლავ შეეჩვიენ ამ საქმეს
შეიქნენ გაწ:ფულები,
ბევრსა უჩვენეს უდაბნო,
ბევრსაც დასცანცლეს ფულები.
ერთხელ სთქვეს ვაჟბატონებმა,
დღეს თავი ვისახელოთო,
ისეთი ვინმე მოვიგდოთ
რომ ღირდეს გასამრჯელოთო.
წავიდეთ ყასაბს დავეცეთ:
ფული ჰქონია ბლომათო,
ორი ათასი თუ მოგვცა
კი ეღირება შრომათო...
დაეცენ, ეტლში ჩაისვეს
და გააქანეს ხელათა,
მაგრამ ჯიუტი გამოდგა
ყასაბი, ხათაბელათა!
ამბობს: შაურიც არ მინდა
რომ მოგცეთ სასყიდელიო
და ამ ოთახში ვიჯდები
ორმოცდა ათი წელიო!..
დალონჭდენ შანტაჟისტები:
თავს ავიკიდეთ ხათაო,
ძროხა მაინც მოგვეტაცა—
ვარგოდა საკლავათაო.
ეს კი არც ხორცათ გვარგია,
და აღარც გვაძლევს ფულსაო,
რაღას ვათრევდით ამ ხელა
ყასაბსა დალუპულსაო.

**უკმაკური.**

## მ ა პ ა ტ ი ე.

თავზე წაუკრავს რაღაც ჩვრისა ნახევი ძველი,
ფეხთა აცვია დაგლეჯილი ჯღან-ქალამანი,
ტანს ძლივს უფარავს ნაფლეთების რაღაც სამოსელი,
ბევრგან აქა-იქ გამოუკრთის შიშველი კანი.
დღეს მას ხელიდან გამოსტაცეს თოხი და წალდი
ეს ერთად ერთი სადირალი, რაც მისას იყო,
დრამას ფულს სთხოვდენ არ რა ჰქონდა გადასახადი
და გზირმა ფულის მაგიერათ „ნივთი" წაიღო!
წაიღო იმან... არ შეხედა მუშის მუდარას,
ხელიდან შრომის იარაღიც გამოაცალა.
დაღონდა მუშა... დიდხანს სევდით უცქერდა კერას,
რა უნდა ექნა? არსად იყო სახსარი, ძალა!
„წავალ და შევსთხოვ თვით მოძღვარსო", სთქვა იმან
გულში:
„ქრისტეს კაცია! ჩემს გასაჭირს ყველას აუხსნი,
სხვა რამ სამსახურს აღუთქვამთ მის დრამა ფულში
და ჩემს იარაღს ისევ ამ გზით იქნებ დავიხსნი"..
კრძალვით მიადგა ის მოძღვრის სახლს ორ სართუ
ლიანს,
ჯაჭვით დაბმულმა შორით ძაღლმა შემოუყეფა.
შესდგა... სახლს დიდხანს აშტერებდა თვალებს ნაღვლიანს,
მხურვალე მზისთვის მიეშვირა წამწვარი კეფა.
ბოლოს გამოჩნდა აივანზე თვით „სახიერი":
ძილისგან ახლად აღდგომილი თვალებს სჭუტავდა,
იყო ჭადარა, არც იმდენად თუმცა ხნიერი,
ხელნი დაეწყო მომსხო დიპზე, მძიმედ სუნთქავდა.
—„რა იყო, შვილო? ზიარება ხომ არვის უნდა?
მძიმედ სნეული ჩემს სამწყსოში ხომ არვინ არის?!"
აქ მოძღვარს პირი რაღაც ტკბილად აუწკლაპუნდა,
იქნებ ალაპის მომლოდესა ანუ ქანქარის.

არა, მამაო!.. მე გიახელ...დღეს საწინდარი...
დრამაში ჩემგან გაიტანეს წალდი და თოხი;
ჩემებრ ღარიბი ჩვენს სოფელში სხვა არც კი არი:
წვრილ ცოლ-შვილს ჩემსას ვეღარ იტევს, მოძღვარო,
ქოხი!

მიმსახურე და მაპატიე დღეს დღეისობით,
ბრძანე, რომ უკან დამიბრუნონ თოხი და წალდი
და სიტყვას გაძლევ,—გადგიხადო ერთი ათობით,
თუ გადვიტანე დამშეულმა ეს წელიწადი!".
—„რაო? დრამაო?!.. მერმე, შვილო, მე რაი გიყო?
არ შემიძლია, წინ აღუდგე უფროსთა ნებას!
სჯობს მას მიჰმართო, საწინდარი ვინაც წაიღო,
იქნებ შეხედონ შენს სისაწყლეს, შენს გაჭირვებას!
მამასახლისი, ბლაღოჩინი, მასთან პრისთავი..
ხომ იცნობ, შვილო, შენ ამ ქვეყნად ჩაგრულთ ქომაგებს?!
მიდი იმათთან! შეაბრალე ტანჯული თავი
და თვითეულიც მოწყალებას უხვად მოგაგებს!".

უთხრა ეს იმან თავის ცხოვარს და გატრიალდა,
სახტათ დასტოვა მის წინ მდგომი ზარდაცემული;
ძაღლი აუეფდა, რკინის ჯაჭვიც მუნ აჩხრიალდა,
ის კი იდგა იქ... უიმედო, დამცირებული...
შეწუხდა ძლიერ! წუევით, კრულვით მან მოიხსენა
ცხოვრების წესი უსამართლო, დაუნდობელი,
გაბრუნდა... მიდის დაღვრემილი ის შინისკენა
და ჯანით სავსე ძირს ჩაჰკიდა უღონოთ ხელი. .

**ნ. ზომლეთელი.**



### მ თ ა ს.

მთავ, ბუმბერაზო! ზეცისთვის
მწვერვალი მივიბჯენია,
წამოჯდომიხარ ბასრს თავზე,
ღვარ-თქაფი მოგივლენია.
უწყალოთ გიწამებია,
გულს სევდა მოგიფენია,
ცრემლები მწუხარებისა
უზომოთ დაგიდენია...
მაგრამ, ერთხელაც იქნება,
ცა რისხვით შუბლსა შეიკრავს,
მოიხუშება შავათა,
ელვა გაკრავს და გამოკრავს;
იჭექებს, მეხი ძლიერი
სმშინლად დაიგრიალებს
და დაგეცემა თავზედა,
შეგმუსრავს, გაგატიალებს!

**ვ. ჩახრუხაძე.**

*
* *

ის ნუ მოსწყვეტთ, იასა,
სამარის პირად გაშლილსა,
ჯერ კიდევ ღამის წყვდიადში
საბედისწეროთ გაზრდილსა!
ეგ ობოლი ნიავის,
მან ნახა მისი საფლავი
და ზამთრის გულში ჩამარხულს
ახარა დილის ამბავი.
მაგრამ ჯერ ირგვლივ წყვდიავი
მეფობდა ქალაქ-სოფლათა;—
მან ჩანთქა უცხო სტუმარიც,
ია, გაშლილი ობლათა!
ამ შავ ღამეში, დარაჯობს
ის მიწის გულში ჩამარხულს,
დარაჯსა გარიჟრაჟისას,
ძმასა უდროვოთ დაკარგულს!
როს წყვდიადისას გრიგალი
ამბავს უყვება არესა,
ია საფლავზე გაეკვრის,
ია სუსხსა გრძნობს მწარესა!
ქარი ასკდება მიდამოს
ვაებითა და კივილით...
ია კი...ნიავს უძახის,
მუნჯი, უცრემლო ტირილით!
შესჩივის წყვდიადს... შესტირის
იმედებ-გაცრუებული,
ხოლო მიდამო, ვით ლოდი,
ცივია, გარინდებული!
ნუ მოსწყვეტთ იას, ნაზ იას,
სამარის პირათ გაშლილსა,
იმ ნანატრ დღეთა სიზმრებით
ალმოცენილს და გაზრდილსა!

**იასამანი.**

*
* *

ოხ, ვინ დამიცხრობს, ჩამიუჩებს მწვავე აშლილ წყლულს,
ვინ გამამთელებს ვერაგთაგან ისრით ნამსხვრევ გულს,
ვინ აღმიდგენს კვლავ იმედს, რწმენას მტრისაგან ჩაკლულს?
და ან ვინ შთამბერს შეუდრეკელ, ახალ, ძლიერ სულს?

—

თქვენ მხოლოდ ისევ თქვენ: მზის სხივებო ჩასვენებულო,
შურისძიებავ მტრის ზარმცემო მიძინებულო,
ვეფხვო ჯაჭვებით შებოჭვილო, დატყვევებულო
კვლავ ზე-აღდგენა უსწორ ომში დამარცხებულო!
წმინდათა წმინდა საქმისათვის ამხედრებულო
ჩაგრულთ ლაშქარო ზღვის ტალღისებრ აზვირთებულო,
ბრძოლის განგაშო ბუკ-ციცინით ამქუხრებულო
მუშავ ლომ-გულო მჩაგვრელთადმი განრისხებულო.

—

ჰოი, მითხარ რამე მითხარ ძმათ გულს სანუგეშოთ
მითხარ როდემდის მძიმე ტვირთ ქვეშ უნდა ვიხვნეშოთ,
როდის შეწყდება ტანჯულთაგან სისხლ-თვალის ნთხევა,
გმინვა, გოდება მშვრებისა კრულვა და წყევა?

**გ. ქუჩიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ორი ეშმაკი.

**მეორე ეშმაკი.**

ყური მომაპყარ, ჩემო ეშმაკო,
მინდა წასულზე გელაპარაკო!

**პირველი ეშმაკი.**

აბა, გეთაყვა, ნუღა გვიანობ,
კარგა ხანია, რაც ხეტიალობ,
ორი კვირაა აღარ მოსულხარ
და ამბებს რიგზე არ მოყოლიხარ.

**მეორე ეშმაკი.**

მაშ აგრე... გეტყვი ამბავს ნახულსა,
რომელიც მტკიცეთ ჩამიჭრა გულსა:
ჩამოვიარე მუშტაიდის მხრით—
ყვირილი მესმა გარეული ხმით.
ათ დღიურამდე ტრიალი ველი,
ზედ ჭაბუკები შიშველ ტიტველი
გალავანს მიგნით ხეტიალობდენ:
,,გვასვით, გვაჭამეთ'' სულ დრიალობდენ.
ვსთქვი თუ: პარტახი ესე ვისია,
ან ეს გიჟები ვინ შეუსია
ვკითხე: ძამია, რა დაგმართიათ?
ნუ თუ მართლადაც პური გაკლიათ?
ან თქვენ ვინა ხართ, ან ეს ჯაგნარი
გალავან რტყმული ვისი რა არი?

**პირველი ეშმაკი.**

მე მიკვირს, შენგნით ვეღარ მიმხვდარხარ.
რომ საჭენათ მინდვრის პირს მდგარხარ:
იქ ლაზარევის ცხენთ-მსახურები
მოგჩვენებიან მშიერ-ტიტკლები.

**მეორე ეშმაკი.**

ეშმაკო-ჯან, სცდები, შენ სულ სხვას ამბობ,
ყური დამიგდე და მე გიამბობ.
,,ჩვენ ვართო'', მითხრეს, გლეხის შვილები
სასწავლათ აქეთ მოგზავნილები
საბაღოსნოთა ესე სკოლათ,
სადაც ვისწავლეთ მარტო წოლათ.
ჩვენთვის არც პური, არც ფეხსაცმელი,
არც ცოდნა არის და ტანთ-საცმელი,
ვგდივართ ჩვენ ასე უპატრონოთა,
არ ვიცით რაღა მოვიგონოთა.
ტრიალ მინდორში მებაღეობას
ვინმე ისწავლის, გაოცებ ძმობას?''

**პირველი ეშმაკი.**

რას ამბობ ეშმაკ, საბაღო სკოლა
ასე საშინლათ რამ დააბრკოლა!
ან შენ მათრახი თან არა გქონდა,
რომ მეთაურებს ზურგი ასწოდა?

**მეორე ეშმაკი.**

ბევრი ვიქნიე ჩემი მათრახი
НО... მეთაური მე იქ ვერ ვნახე,
სკოლის პატრონი იქ არ ბრძანდება—
—მისი სახელი-ტიტულოვნება
არს ,,სამეურნო საზოგადება''

**პირველი ეშმაკი.**

მათრახი მაგათ რბილ ნაწილებზე
რომლითაც ტყვილა ყრიან ,,სტულებზე''

**მეორე ეშმაკი.**

მეც მაგრე ვფიქრობ, შენ გენაცვალე,
და მათრახითაც მნახავ იქ მალე,
მაგრამ ერთსა გთხოვ, თუ რომ გწამს ძმობა,
რომ გამიწიო ეს მეგობრობა:
რომ მიხვდენ იმა საბჭოს წევრები,
რომ სკოლასაც აქვს ინტერესები,
რომ სწავლა უნდა მიღებულ ბავშებს
(ტყვილათ მშობლები იქ შვილს არ უშვებს)
რომ არა კმარის სკოლის ქონება
მარტო ქაღალდზე: მას ენდომება
ზრუნვა და საქმე და არა ძილი,
რომ ბავშთ წვალება არის სირცხვილი.
ერთისა სიტყვით გასწიონ შრომა,
რომ სკოლამ შეძლოს ზედ წამოდგომა.
—ამ მიზნით მომყე შენი მათრახით
ორივ მივცვინდეთ მათ სხვა და სხვა მხრით
და იყოს ,,მუნით ღრჭენა კბილისა''
და ამწვავება რბილ ნაწილისა.
იქნებ უშველოს ამ საშვალებამ
და გაიღვიძოს ,,საზოგადებამ''

პირველი ეშმაკი.

ძალიან კარგი მოვლივარ მეცა;
შენი სიტყვები გულს ბინდათ მეცა,
მეცა მსურს მათთვის მათრახის ტკეცა,
რომელმაც ბევრი სხვაც გააბეცა.

ბენუკა.



მოქალაქის დღიურიდან.

25 მაისი.

არა, ერთი მითხარით, უმჯობესი არ იქნებოდა ან სულ არ გავჩენილიყავი ამ ცოდვილ ქვეყანაზე და ან და რომელიმე სხვა პლანეტაზე, ვიდრე ამ დასაქცევ თფილისში გავჩნდებოდი?! ბედის წერაათ სწორეთ რომ იტყვიან, მართალია. აბა რა იქნებოდა, იმ დალოცვილ ღმერთს ჩემს მაგიერ სხვა ვინმე გაეჩინა თფილისში და მე კიდევ მთვარეზე გავეჩინე? აბა, ერთი მითხარით, რა დააკლდებოდა? მე კი ამდენ ჯულის ძგერას და შიშს გადავრჩებოდი და ქე ვიქნებოდი ჩემთვის მოსვენებით. დღევანდელი დღე რომ მომაგონდება, გამაცივებს. სწორეთ შავი უბედიერი გამითენდა. დილით ადრიანათ ავდექი, ოჰ, ნეტა სულ არ ავმდგარიყავი დღეს. აბა ერთი მითხარით, რატომ ავდექი? ის არა სჯობდა, გწოლილიყავ ჩემთვის არხეინათ ლოგინში? საჭმელიც არ მომინდებოდა და ხარჯს ავცდებოდი და საშინელ შიშსაც არ ვნახავდი. შეიჯდა ეშმაკი, ავდექი და ჩემ ნაცნობ ყასაბ ტიგრანსთან წაველი ხორცის სასყიდლათ. ის იყო, საბრალო ტიგრანამ აიღო ხელში დანა და ხორცი უნდა მოეჭრა ჩემთვის, რომ ეცენ აქეთ-იქიდან ვიღაცაები და დაუყვირებაც ვეღარ მოასწრო, ისე გაიტაცეს ფაიტონისკენ. ამის დანახვაზე გული დამეთუთქა და დავუყვირე, გაიქნიე ბიჭო ტიგრან ფეხი მეთქი“, მარა შენც არ მომიგვდე, ვერაფერი მოახერხა. ჩასდეს ფაიტონში და სადაც გააქანეს. შიშით გულ გახეთქილი გავიქეცი სახლში და იმ დღეს გარეთ არ გამოვსულვარ.

26 მაისი.

ეშმაკი აღარ მაძლევს მოსვენებას. დღესაც გამოვედი ბაზარში. საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო, სწორეთ ისე დამემართა. ჩემი ბაზარში გასვლა და აქეთ-იქით სროლის ატეხა ერთი იქნა. გავქანდი ერთი ქუჩისკენ. ვნახოთ, ისვრიან და გარბიან. გულ გახეთქილი მეორე ქუჩისკენ გავქანდი, იქ კიდევ უარესი. უცბათ რიხიანი ხმა შემომესმა, ,,სტოიო‘‘. გავჩერდი, რას ვიზამდი. მტაცეს ხელი და ,,კბილების საძრობ სახლისკენ‘‘ წამიყვანეს. იქ ისეთი მასაჟი გამიკეთეს, ისეთი, რომ სული ძლივს მივიტანე სახლში. გზათ ერთი გაზეთის რედაქციაში შევიარე, მინდოდა გაზეთში ჩამეგდო ჩემი ამბავი, მარა იქ მითხრეს, გაზეთში ეხლა პოლიციელები სწერენ და იმათ სთხოვეო. იქ აბა რავა ღმერთი გამიწყრებოდა, რავა წავიდოდი. მივლასლასდი შინ და ჩავწექი ლოგინში. მესამე დღეა, ვწევარ და არც ვფიქრობ ადგომას. ამბობენ ,,ოსადნი პოლოჟენია‘‘ უნდა შემოიღონო. თავშიც ქვა უხლიათ. ჩემ ლოგინში ვერ შემოიღებენ და ქალაქში რაც უნდათ ის ქნან...

28 მაისი.

ვწევარ. ხან ერთ გვერდზე გადავბრუნდები და ხან მეორეზე. საჭმელ სასმელი ნაკლები მეხარჯება, მხოლოდ ცოტათი ,,ნამასაყარი‘‘ გვერდების ტკივილს ვგრძნობ. ფიქრებმა გამიტაცა. მომაგონდა საბრალო ტიგრანა. ამ ფიქრში ვიყავი, რომ თავს წამომადგა ვიღაც ახალგაზრდა და წერილი გამომიწოდა. მაშინვე მივხვდი, რომ ვიღაცას ჩემი შერთვა უნდოდა და მაჭანკალი გამოეგზავნა. თვალები დავნაბე და თავი მივიმკვდარუნე. უცბათ გვერდში მუჯლუგუნი მომხვდა და საშინლათ დავიღრიალე. „წაიკითხეო“ დამიყვირა. რას ვიზამდი. წავიკითხე. „ან ფული ან სულიო“ მწერდენ. თუ ფული არ გამოგზავნე მოგიტაცებთო. ვა! რა ოხრები არიან, პატარძალი ხომ არ ვარ, რომ მომიტაცონ?! „დღეს საიქიოს მივემგზავრები და იქიდან გამოგიგზავნით მეთქი“: ვუთხარი. „მაშ კარგიო, მოგაკითხებთ“, მითხრა და წავიდა. ელოდონ სანამ გავუგზავნი. წავიდა თუ არა ავდექი მოვნახე მაგარი თოკი და ტახტზე ფეხით მივეკარ. აბა ვნახო რაც ბიჭებია როგორ მომიტაცებენ ტახტიანათ.

29 მაისი.

... საშინელებაა, საშინელება. „ოსადნი პოლოჟენიე“ ჩემ ლოგინშიც გამოცხადდა. ლოგინიდან შკაფში გადავბარგდი. აქ უფრო მშვიდობიანი ალაგია. ქალაქში ისეთი ამბებია, რომ მეორეთ მოსვლის გავს. სანამ ყველაფერი არ დაწყნარდება შკაფიდან არ გამოვდივარ... წერას ვეღარ ვახერხებ... ბნელა...



მესტვირული.

ხელში ავილე ქამანჩა,
გუდაც მოვიგდე გვერდზედა,
უნდა ვსთქვა ერთი შაირი
ოდიშის იღბალ-ბედზედა.
პირველად უფალს ვახსენებ,
მერმე აქაურ მთავარსა
ბრწყინვალეს, მთელი ოდიშის
მშვენებასა და ჯავარსა.
მისთვის ხომ ბევრი გლეჯ-კაცი
გულ-მკერდ ოფლ-დანადინები,
სულს იხდის, რადგან თავადსა
სჩვევია ნადიმ-ლხინები.
ამ ბოლოს ხმები გავრცელდა:
ვითომც სურს კნიაზ-ნიკოსა,
ექვს მილიონად მამული
ხაზინას რომ მიჰყიდოსა.
დაე მიჰყიდოს! გლეხისთვის
ან ეგ რა სადარდელია!
მისთვის ერთია, ვინც გაფცქვნის:
მგელი, ტურა, თუ მელია.
შემდეგ ვიკითხავ ამა მხრის
კნინ თავად-აზნაურობას,
ვკითხავ: რათ ხულიგანობენ?
იკლებენ აქაურობას.
ზოგი ცხენს დასდევს ღამ-ღამით,
ზოგი კამეჩს და ხარებსა,
გლეხი კი სტირის: „ჩემს დამფსვენს
ღმერთი არ გაახარებსა"!
ზოგს ხმალ-აბჯარი არტყია
მიმოაქროლებს, ტაიჭსა;
თავს იხდენს, ფეხებს პატივს სცემს:
სირმით იჭრელებს პაიჭსა;
ზოგი ხომ სულთ მობრძავია,
ჩაფლავდა კაი ხანია,
ზოგი კვლავ მგელსა ემსგავსვის
და ზოგიც „დურმიშხანია".
სულ ცოტა ვინმე შემხვდება
მათ შორის პატივსაცემი,
სხვებს კი ვსცხებ, რომ სულ „ვაიმეს"
ყვიროდეს მათრახ-ნაცემი.
ბოლოს დავუარ ხუცუკებს
დავითრევ გრძელი თმებითა,
წელზე იარაღს გადავკრავ,
ვაყვირებ ცივი ხმებითა.
ვკითხავ: რათ არ იბრალებენ
ას-კეც ტყავ-გამძვრალ გლეხებსა,
რომ თვითეული მათგანი
დრამაზე თავს ატეხებსა?!
ზოგს ხაზინიდან მოუდის,
ზოგს ხატის კრუჟკით ჩუმათა,
ზოგს შემწვარ მოხარშული და
ზოგს ცხვრის თავ-ფეხი უმათა.
არ იქნა, აღარ ეშველა
გაძღომა იმათ კუჭებსა
და მაინც ორი გროშისთვის
მშიერ გლეხს ამუხრუჭებსა.
ზოგ უჩიტელზეც მათრახი
დიდათ არ დამენანება,
ვუჭირებ ისეთ-ისეთს, რომ
აუტყდეთ ზურგის ფხანება.
ენუქიძიდან მივყვები,
ჩავუვლი აშორდიასა
და ვისაც განვანაწყენებ,
შემდეგ გაახლებთ სიასა.

**ონისიმე.**



## პასუხათ ილია წერეთელს.

„ეშმაკის მათრახის“ მე-24 №-ში მოთავსებული იყო ჩემი წერილი—შეკითხვებ̇ა—დიდი·ჯიხაიშის ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედვლის ილია წერეთლის და გაკვრით ამავე სასწავლებლის მასწავლებლის გ. ბახტაძის შესახებ. გავიდა თვენახევარი და არც ერთს ხმა არ ამოუღია (ეს დრო მოანდომეს კორესპონდენტის ძებნას, მარა ამაოდ), ეხლა ხმა აღუმაღლებია ი. წერეთელს—გ. ბახტაძეს კი, ეტყობა უცვნია რა თავი დამნაშავეთ, გაჩუმებულა—და გუნია-ხ ობელს მიუღიათ შეურაცხ·ყოფილი აზნაური თავიანთ მფარველობის ქვეშ. მე არას ვიტყვი „ნიშადურის“ 43 №-ში მოთავსებულ წერილზე; ვისაც ეინტერე ება, აიღოს ეგ ნომერი და თვითონ დაინახავს, თუ რა ღირებულებისაა ის. ვიტყვი მხოლოდ, რომ ისეთ მარგალიტებით სავსე წერილებს მისცემს ადგილს მხოლოდ და მხოლოდ „ნიშადურის“ რედაქცია. და ან კი მისთვის რა იყო სხვა საჭირო! „ეშმაკის მათრახი“ ხომ არის შიგ მოხსენებული და მისი კორესპონდენტი წოდებული მეჭორეთ და ტყუილების მჩმახველათ!

მე ხელთ მაქვს ნამდვილი ცნობები ბ. წერეთლის მიერ დიდ-ჯიხაიშში ჩადენილ საგმირო საქმეების შესახებ—სხვა სოფლებში მის მოღვაწეობაზე შემდეგ—აი ისინი: ბ. წერეთელს მისვლისთანავე გაუსვია ხელი სკოლის ფულების ფლანგვისთვის, რასაკვირელია, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია მასწავლებლებს (ამ სასწავლებელში საქალო განყოფილებიანათ ათი მასწავლებელია) და მოუთხოვიათ სამზრუნველოს მოწვევა (1905 წლიდან ნამესტნიკის განკარგულებით ზოგიერთ სკოლებს ყავს სამზრუნველოები, რომლებიც წესდების ძალით ვალდებული არიან ყოველ ორ თვეში შეიკრიბონ და შემოსავალ-გასავალს ანგარიში უყონ). ბ. წერეთელი ამ ამბავს ცუდ გუნებაზე დაუყენებია და შედგომია ჩუმათ იმის გამოკვლევას, თუ რომელმა მასწავლებელმა გაბედა პირველათ ამ საკითხის აღძვრა!.. როგორც იქნა ღირსებიათ მასწავლებლები სამზრუნველოს კრებას, რომელზედაც გამორკვეულა, რომ ბ. წერეთელს გადუსანსლავს სკოლის 156 მ. მას დაურწმუნებია სამზრუნეელო, რომ ქიათურის „სიეზდიდან“ აქვს ასაღები ფულები და უთუოდ გაასწორებს ვალს მოკლე ხანში... შემდეგშიაც კვლავინდებურათ განუგრძვია ამ „უსამართლოდ შეურაცხყოფილ“ ვაჟბატონს. მასწავლებლებს ხელმეორეთ მოუთხოვიათ სამზრუნველოს კრება, რომელიც შემდგარა ძლივს-ძლივობით შუა თებერვალში. ამ კრებაზე გამორკვეულა, რომ ბ. წერეთელს შეუჭამია სკოლის 236 მ და „პარტების“ ფასი 20-მან. რომელზედაც მას უარი განუცხადებია, რასაც გამოუწვევია მოსწავლეებიდან ბ. წერეთლის მიერ გაცემულ კვიტანციების შეგროვება.

ეხლა გეკითხებით თქვენ, დიდი-ჯიხაიშის სასწავლებლის მასწავლებლებო, თუ თქვენში მოქალაქობრივი გამბედაობაა, თუ თქვენც ილია წერეთელი არ ბრძანდებით, მართალია თუ არა, რაც ზევით ვთქვი და ამას გარდა მიპასუხეთ შემდეგ კითხვებზე: მიიღო თუ არა რომელიმე თქვენგანმა მარტში იანვრის ჯამაგირი ახლად არჩეულ ხაზინადრიდან? წაართვა თუ არა რომელიმე თქვენგანს ათი მანეთი? დღესაც არიან თუ არა თქვენ შორის ზოგიერთები, რომელთაც აპრილის ჯამაგირი არ აუღიათ სრულად და უძევა თუ არა ამაში ბრალი ბ. წერეთელს? რომ სამზრუნველოსთვის სწორი ანგარიშები ეჩვენებია, მოაწერინა თუ არა ხელი ჯამაგირის სრულად აღებაში რამდენიმე თქვენგანს შემოსავალ-გასავლის წიგნში და ერთ მათგანს უთხრა თუ არა უარი აღებულ ფულზე (რაც არ გაუვიდა)? რემონტის 90-მანეთამდე გაფლანგული აქვს თუ არა? უარი თქვა თუ არა სამზრუნველოს კრებაზე რემონტის ფულიდან აღებულ ხუთ თუმანზე და შემდეგ აღმოუჩნდა თუ არა მოწერილი ხელი ამ ფულზე მამასახლისის წიგნში? მართალია თუ არა, რომ ზოგიერთ მოსწავლიდან სწავლის ფული აელო და კვიტანციის წიგნში არ შეეტანა? მართალია თუ არა, რომ სამზრუნველოს კრებაზე „პარტების“ ფულის საბუთები 100 მანეთზე მეტის აღმოჩნდა და მან კი ხუთ თუმან ნახევრის კვიტანციები წარმოადგინა? მისგან გაცემული „პარტების“ კვიტანციები (სადაო 20 მ.) აღმოაჩინა თუ არა ამ საქმეზე არჩეულმა კომისიამ? მართალია თუ არა, რომ კერძო მოვალეები ბ. წერეთელს გაკვეთილების დროს კარში ეძახიან—ეხლაც—და მით ბავშვებს აცდენენ? მართლა გამოუცხადა თავის კლასის კარგა ბლომა მოსწავლეებს, თუ ჩემთან არ ეშზადეთ ნასადილეობით, დარჩებითო და სასყიდლით მაისამდე მოსთხოვა თუ არა თითო თუმანი? მართლა ყოფილა, თუნდაც ერთი მაგალითი, რომ მოსწავლეებთან ემაცადინებიოს ნასადილევს? მართლა დარჩა ბ. წერეთელს გადასახლებულ მასწავლებლებისაგან „სამკვიდროთ“ სკოლის დიდი არეულ-დარეულობა? მართლა მარტო კვირა დღეებით სარგებლობდა ბ. წერეთელი და მთელი კვირეები არ გაუცდენია? ან იმ კვირაში, როდესაც „ნიშადურის“ 43 №-ი იბეჭდებოდა, ბ. წერეთელი სად ბრძანდებოდა? მართლა თვითონვე გახდა ვალდებული გაესწორებია ჯამაგირიდან სკოლის ვალი, თუ იძულებით უჭერენ თვიურათ ჯამაგირის 5 მეშვიდედს?

რაც შეეხება ბ. წერეთლის სიტყვებს, რომ სკოლას 3000 მ. შემოსავალი აქვს—4000-ცაა,—რომ მას პირველად შეხვდა (მადლი ალახს) „ამოდენა დიდი სკოლის“ მართვა და მიტომ შემოეფლანგა ფულები.

ბ.ბ. მასწავლებლებს ერთ კვირას ვუდებ ვადას „აღადგინონ“ ბ. წერეთლის დაქირავებულ (მე ამაში ღრმად დარწმუნებული ვარ) არა „ჩხირკედელა ლიტერატორის სიმართლე“; წინააღმდეგ შემთხვევაში ვიწვევ ბ. წერეთელს საშუამავლო... სამედიატორო სამართალში და თვით მე „აღვადგენ მის სიმართლეს“. დადებულ ვადაზე ვთხოვ ბ. წერეთელს—თუ მასწავლებლებმა უყუჩეს—დაასახელოს თავის მხრით მედიატორები.

**„გადავარდნილი“.**





„ტვირთმძიმენი“ დუმისაკენ.

## „ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“.

რომ ტანჯულს ტვირთი შევუმსუბუქო,
ჩემად მიმაჩნდეს იმისი წყლული,
აი, რა აზრით გულს ჩამენერგა:
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“
ვინც მაძღარია და ბედნიერი,
კმაყოფილია და უზრუნველი,
იგი პირ იქით იუკადრისებს
რომც გაუწოდო მე ძმურათ ხელი.
იმას სწამს მხოლოდ თავისიანი,
მე კი მის თვალში ვარ მონა კრული
და მაშ ჩვენ შორის ვით გახდეს ხიდათ
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“?
მიგვითითებენ ჩვენ წარსულ დროზე:
„იქ ვიყავითო ჩვენ ბედნიერი!“
ეგ მართალია, „თქვენ“ კი იყავით
და არა ყველა, საერთოდ ერი.
ან კი „მაღალთა“ და „დაბალთ“ შორის
სადაა, იყოს თანხმობა სრული,
და არ რჩებოდეს ცალიერ სიტყვათ:
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“?
მომავალში კი ადამიანი,
მრწამს, შეიცვლება და ამაღლდება
და მაშინ დიახ „ძმობა“-„ერთობა
საქვეყნიერო მცნება გახდება.

მაგრამ დღეს, სანამ კუჭია მეფე,
შრომის შვილი კი მივიწყებული,
ყოველ ნაბიჯზე დაგმობილია:
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“.
და ბრძოლაც უნდა იქით მივმართოთ,
ცხოვრების წინსვლას შევუწყოთ ხელი,
რომ მრავალტანჯულ კაცობრიობას
ადრე დაუდგეს დღე სანატრელი.
როს არ იქნება: აქ შრომა, ტანჯვა,
იქ კი — მეფობა, განცხრომა სრული
და კაცთ ცხოვრებას ტახტათ ედგმება
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“!

**ნ. ზომლეთელი.**



## ორიგინალური ნახატი.



ქუთაისიდან ბაღდათამდე

მე ვარ და ჩემი რაშები
მუდამ რომ დავეთრევითო,
თვრამეტი სული შიგ მიზის
ათი-თორმეტი ზევითო.

ვინც მომცემთ სამსა ქანქარსა
სუყველა ჩაეტევითო
და ვინც რომ ორსა იძლევით
ქვეითათ გამოყევითო.

## მ ე რ ც ხ ა ლ ს.

ეგებ მისთვის მოჭიკჭიკდი
გაზაფხული რომ გვახარო
და მით ტანჯულ-წამებულნი
გვანუგეშო, გაგვახარო?
მაგრამ უნდა გამოგიტყდე,
აყვავება მინდორ-ველის
ჩვენს იარას, გულის ტკივილს,
ვერ განკურნავს, ვერ უშველის.
ჩვენ სულ სხვა გაზაფხულს ვნატრობთ
მშვენიერს და სანეტაროს,
მხოლოდ იგი გვანუგეშებს
და შეგვაშრობს ცრემლთა წყაროს.

ვ. ჩახრუხაძე.



## №-ს

ნუ, ნუ მომაწვდი, სამეგობროდ მაგ შენსა ხელსა,
და ნუ შემწიკვლავ, მეგობრისა წმინდა სახელსა.
მე, კარგად ვიცი, უკმეხობა შენის გულისა,
სადც გამოსჭვივის, სიძულვილი დაჩაგრულისა,
ბედით დამტკბარსა, უბედურის კვნესა არ გესმის...
მხოლოდ და მხოლოდ, შვება ლხენა შენში გაისმის.
მე კი, ჩაგრული, მხოლოდ ჩაგრულს ვიწვევ მეგობრათ—
ვიწვევ მეგობრათ, ვინც ბედს იწვევს ბრძოლათ-სამკვდრო-სასიცოცხლოთ... სათმრათ.
მაშ, შენ მას მიეც შენი ხელი, შენი მარჯვენა,
ვინც სხვა, ძირს დასცა და მით ჰპოვა შვება და ლხენა.
განცხრომის მონავ, სულ სხვა ჰანგზე გიმღერს შენ გული,
ოჰ, სულ სხვა ჰანგზე, დაღიღინებს ბედით ტანჯული.

მ. ველისციხელი.

## პ ა ს უ ხ ი.

ვისი სიცოცხლეც მწარია,
მისთვის სიკვდილი ტკბილია,
იქ ვერვინ რასმე დამაკლებს,
აქ ხალხის გული გრილია.

ყოველი ადამიანი,
მუდამ სიკვდილის შვილია,
გინდ დღეს მოვმკვდარვარ გინდა ხვალ
ბუნების დადგენილია!..

ს. მაისაშვილი.




# წერილები ეშმაკისადმი

## ტფილისიდან.

შენი ჭირიმე ეშმაკო!
ვერისკენ გამოგვიარე,
ჩვენ, რო გვაწუხებს დარდები,
ზოგი შენც გაიზიარე.
აქ საბებიო ინსტიტუტს,
„დოხტურშა“ მოვლინებია,
მარია ქვიან სახელით,
თითონ მთავარი ბებია..
ვინც უკანონო შვილს იყვანს,
სუყველა ღარიბებია;
ბავშვებს მას აძლევს „დოხტურშა“
ვინც მისი აგენტებია!
ძიძებს ხელსა კრავს, ზოგს ჩქმეტავს,
ნეტა რა მოსჩვენებია?
„დოხტურშას“ ცუდი ქცევითა,
ბევრს გული გაბრაზებია:
მარიას ენა გრძელი აქვს,
ყბებიცა აჭქავებია;
ახობაძისა ახალი
წამალი მოსდომებია.
სპერმაკუდინი არ უნდა,
მათრახიც მობეზრებია,
ეგ იმერეთის „ხლისტი“ და,
„ალმეზა“! მოსდომებია!
თან წამოიღე თუ ძმა ხარ,
უსუსხე შენებურათა,
ასე, რომ გადამასქნილა,
თან დაარიგე ძმურათა!..

შმაგა.

სპერმაკუდინის ქებანი
არ გამოითქმის ენითა,
ავათ-მყოფე?ის პატრონნი
შენთან მოდიან რბენითა.
რადგან განკურნვას ელიან
კარგი კუდინის წვენითა
მუშები გვყვანან ჩვენც ავათ,
უკურნებელი სენითა.
თუ არა გჯერა მობრძანდი
ცოტა ხნით შემოფრენითა,
არტისტიულსა თეატრში
იმათ შეხვდები ლხენითა.
თითონ მაძღარნი მშიერებს
სულ შეჰყურებენ ლრენითა,
კავშირის დადგინებათა
ვარს ყოფენ პილწი ენითა.
გთხოვთ მოგვევლინო საშველათ,
მათრახ გრძელითა შენითა,
სამზარეულოს ჰგიებენ
ჩვენი პყრობილნი სენითა,
გამოწყობილნი ლამაზათ
თეთრეულითა მშვენითა.
ჯერე პავლიას მიართვი
„კუდინი“ ტკბილი წვენითა,
მერმე ეფიმე ვოლკოვსა
აგემებინე ენითა,
რომ ალექსანდრე გამოგრჩეს
დარჩება გულ-ნაწყენითა.
გესიმეც ელის განკურნვას
მოწყალებითა შენითა:
ჩვენ მათი ჭირის უფალნიც
სასწაულს ველით თმენითა.

უმუშევარი.

## პროვინციიდან

**სამტრედია**. თანახმათ თქვენი მოწერილობისა აქ აირჩიეს „სიბინძურის“ კომისია. კომისიის წევრებათ არჩეულ იქნენ 1) ექიმი ი. ჯაში (ფერშლები ეჯავრება, მარა ეგ არაფერი) 2) აფთიაქის პატრონი და სხვანი. კომისია ეხლავე შეუდგა ენერგიულ მოღვაწეობას; „სიბინძურის“ გავრცელებას, რათა სიბინძურესა ამასა ზედა უნდა აღმოცენდეს სნეულებანი, განსასქელებლათ ჯიბისა ექიმსა მის ჯაშისა, „სიბინძურის“ კომისიის წევრათ წოდებულისა და გასავსებლათ დახლისა აფთიაქის პატრონისა, გაყიდვითა აუარებელ წამლებისათა. კომისიის არა ნაკლებ მოღვაწეობას ეწევიან სამტრედიის საბარგო განყოფილების მოსამსახურენი, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ხოლო მოღვაწეობასა ვაჭარ სტეფანე გეგიასასა არა აქვს დასასრული. კამათელებს მუდამ ჯიბით ატარებს და ჩვენი გაზეთების გამყიდველებს თქვენ „ეშმაკის მათრახში“ აღებულ ფულებსაც კი უგებს. თუ შეახურებთ მათრახით კარგია.

კიდევ ბევრი საგულისხმო ამბები ხდება აქ მაგრამ ჯერ ეს იყოს.

ჩორთიკ.

—

**სოხუმი**.

ძმაო, ეშმაკ, ძლიერ ვწუხვარ,
სოხუმში რომ გაგვიძვირდი...
მახსოვს, ხშირ-ხშირათ მოვალო,
ერთ დღეს ასე შემომპირდი.

მართალია ჯერ რკინის გზა
არ არის და არც იქნება,
მაგრამ გემით რომ მობრძანდეთ
ვითამ ამით რა იქნება?..

ესეცაა, აქ ციხეში...
ტიფ-ყვავილი ბრძანდებიან,
მაგრამ ისინი კაცთ კლავენ
ეშმაკს ვერ ეკარებიან.

დღეში მხოლოდ ხუთი კვდება
„დამნაშავე“ პატიმარი,
გთხოვთ ჩამოდი ნახე ციხე
არ გჭირია სამძიმარი...

ექიმები და ფერშლები
ოხრათ არის ღვთის წყალობა,
მაგრამ რაღაც ეზარებათ
ავადმყოფების წამლობა.

„რეშოტკებიდან“ სინჯავენ
განურჩევლათ ერთად ყველას
ერთნაირ წამალს აძლევენ
ტიფ-„ბატონებსა“ და ხველას...

ციხის რაღაც კომიტეტი
აქ რომ არის შენც კი იცი,
მაგრამ ციხეს არ მიხედონ
მიუღიათ მგონი ფიცი...

მეკუბოები დაკეთდენ
მონაგებ ფულს ასესხებენ,
ყველას უკვირს რომ ისინი
ამდენ კუბოს ახერხებენ.

მეციხოვნეთ თუ იკითხავ,
ზედმეტია მათზე წერა,
მათმა გინებამ და ლანძღვამ
სწორეთ ყველა გაგვაშტერა.

ავადმყოფების რძეს გზაში
ხვდება ხშირათ პაწა ცხვარი,
თუ რამ მორჩა ის იქნება
პატიმრების საკვებარი.

ძმაო ეშმაკ, გულითა გთხოვ,
რომ მოხვიდე ჩვენსკენაც ერთი
მათრახი არ დაგავიწყდეს
არ გაგვიწყრეს ამით ღმერთი.

ვასიკო ციმბიროელი.

—

**ბათუმი**. დღეს, დილის 10 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დიდი ალიაქოთი ატყდა. მთელი ვეებერთელა შენობა მოიცო გმირულმა ყვირილმა. მძლავრი, მქუხარე ხმა შორს, შორს, ქალაქის შენობის გარეთაც გაისმოდა. ყველას, ვისაც კი ყურში მოხვდა ეს მქუხარე ხმა, თავზარი დასცა. უფრო მეტად გაბედულებმა გაბედეს მისვლა იმ პუნქტთან, საიდანაც მოისმოდა ხმა უძლიერესი იერიქონის საყვირისა. მოვიდენ და თვალწინ წარმოუდგათ შემდეგი სურათი: სეკრეტარი, ივანე მესხი, მეტის-მეტად განრისხებული, იდგა და ჩქარ-ჩქარა აღებდა ხახას. აი, ამ სეკრეტრის ხახიდან (თუ ყელიდან, ჯერ ეს გამოურკვეველია) ამოდიოდა თურმე ის, ყველას დამფრთხობი, ყვირილი. სეკრეტარს წინ ედგა თავჩაქინდრული თვითმართველობის ერთ-ერთი მოსამსახურე, წოდებული ,,სტოროჟათ‘‘.

— ვინ ვარ მე!..—ჰქუხდა სეკრეტარი და ინძრეოდენ კედლები.—მე აქ წინ გამოგიარე შენ და არ ადექი შენ!.. ვინ ვარ მე!.. შენ უზრდელო, შენ!..—სჭექდა ხმა სეკრეტრისა.—რათ არ ამიდექი შენ!.. წინ გამოგიარე მე!.. ვინ ვარ მე!..

— ბატონო! უკაცრავად, ვერ დაგინახე, ჩაფიქრებული ვიყავი...

— რას ქვია—ვერ დამინახე!.. ვინ ვარ მე!.. შენ უზრდელო, შენ!..

ეს ,,ვინ ვარ მე!‘‘ და ,,რათ არ ადექი შენ!‘‘ ჰქუხდა დარბაზში და იყო მუნ დიდი შიში და ვაება.

ბოლოს, როგორც იქნა, დაამშვიდეს სეკრეტარი. დაამშვიდეს, მარა იმის ყვირილს სამწუხარო შედეგი მოყვა: როგორც ამბობენ, ქუჩაში მიმავალ ორ ქალს შიშისაგან გული გასკდომიათ და თუ გული გაუსკდათ, მე მგონია, მოკვდებოდენ. სამსონ ,,დელოპროიზვოდიტელს‘‘ ყვირილისაგან ჰაერის მძლავრი შენძრევით ტვინი შეენძრა თურმე. სხვა ,,დელოპროიზვოდიტელები‘‘, გარდა პარმენისა, იმავე ჰაერის შენძრევის გამო, სკამებიდან გადაცვი-

ნულიყვენ და სტოლების ქვეშ შევარდნილიყვენ. გადარჩა დაშავებისაგან ერთად-ერთი პარმენი, რომელმაც ,,თავხედ'' მოსამსახურეს შემდეგი რეზოლიუცია გამოუტანა: ,,ვიღებ რა მხედველობაში, რომ შენ არ აუდექი სეკრეტარს და მით დაარღვიე წესი მორჩილებისა წინაშე უფროსისა, ამისათვის იყავ შენ დასჯილ სამი დღის „დეჟურნობითა''.

და იქნა დასჯილ კაცი იგი მცირე.

ამბობენ, ცოტათი სეკრეტარიც დაზიანდაო: ნამეტანი მძლავრი ყვირილიდან ყელი სტკენია და ცოტა კიდევ—ფილტვები, მარა, საბედნიეროთ თვითმართველობისა, მალე სრულიად განიკურნებაო.

იმასაც ამბობენ, რომ რადგან სეკრეტარს ასეთი მქუხარე ხმა აღმოაჩნდა, იქნებ ოპერაში მოიწვიონ სამღერათო. თუ ეს ხმა გამართლდა, მაშინ სეკრეტრის ადგილი განთავისუფლდება, რაზედაც მივაქცევ ყურადღებას ,,ჭეშმარიტ ქართველებისას'', რომ დროზე მოიკითხონ ადგილას.

კვინწარი.

—

**ახალსენაკი.**

ეშმაკო მეფურკუნეებს
სურთ მოგწერონ მცირე ლექსი,
რომ გაგაცნონ ხუბუტია
სახელათ ვინმე ალექსი.

თან გთხოვენ დოქ „სპერმაკუდინს“
რომ აილონ, მის წინ დადგან
და სტაქნებით აყლაპინონ,
კომისიონერობს რადგან.

სამ შაურათ ტვირთის ზიდვას
ურიგდება ხაზეინებს
და შემდეგ მეფურგუნეებს
ორ შაურათ აზიდვინებს.

შაურს თვითონ რჩება ფუთზე,
ვით თხოულობს შრომის წესი,
და ამ რიგად ჩვენს კუთხეში —
ქვით დალალი უკეთესი

საკუთარი მეფურგუნეც
უშოვია შესადარი:
მორჩილი და ერთგულია,
ვით ნამდვილი სახედარი.

ხაზეინის ინტერესებს
თავსა სწირავს, ზედ ევლება
და წრეს ამხანაგებისას
გაურბის და ემალება.

მაგრამ სანამ ეყმობა მას
ეგ საბრალო იაგორა?
საკუთარმა სიუვიცემ,
გვწყინს რომ ასე მოაღორა.

თუ გასწორდეს, ძმაო, იგი
ადრე, არ დაიგვიანოს,
კარგი, თუ არა და — მოსცხე,
რომ მთელ თვეს ზურგი იფხანოს!

მეთვალ-ყურე.

—

**ქუთაისი.** ამ დღეებში მიხაკომ თეატრის კონტრამარკების იჯარით გაყიდვა ალექსანდრეს გადასცა. კონტრამარკები იაფათ იყიდება—25 კაპ. ხალხი ძლიერ ეტანება და ბილეთებს აღარ ყიდულობენ. კარგი იქნება ქუთაისის დრამატიული დასი ალექსანდრესთან შეთანხმდებოდეს. მათ სიმშილობას მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო.

გ. ჩი—ძე.

—

**ჩოხატაური.** რადგან ჩვენებური „ხაზეინ იზვოშჩიკები“ ხან ჩოხატაურში არიან და ხან საჯავახოში, საჭიროა ერთი პარტია საჯავოხოში იქნას გამათრახებული და მეორე ჩოხატაურში. მათრახი კი მათთვის აუცილებლათ საჭიროა, რადგან აღარც ცხენები ეცოდებათ და აღარც მგზავრები, ბალდათელ მედილიჟნეებს ეჯიბრებიან და ერთი ფაიტონით ათი მგზავრი მიყავთ. ხშირათ თვითონ, როცა ფაიტონზე ადგილი არაა ან „დიშლაზე“ ჯდებიან და ან ცხენზე. ქირას ნულარ იკითხავთ. თუ დრო გიშოვნეს პალტოს გაგხდიან. ასეთი დრო დღესასწაულებში უდგებათ. საჭიროა აგრეთვე „ანტიბახუსინი“, რადგან ხშირათ გადაკრულში არიან.

ყვავი.

—

**ხონი.** აქაურ მარინეს საქალებო სასწავლებლის უფროსმა ქალმა ანნა სპირიდონის ასულმა შემდეგი უქაზი გამოსცა: „საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ ის მოსწავლე ქალები, რომლებსაც წლის განმავლობაში ერთი ცუდი ნიშანი ქონიათ, არ დაიშვებიან ეგზამენზე. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ იმ მოსწავლე ქალეპს მივცემ ნებას ეგზამენებზე დასწრების, რომლებიც ლამაზები არიან და ამასთანავე წითელ ქაღალდებს და ბატკნებს მოგვართმევენო“. ამბობენ ანნა სპირიდონის ასულს და ბ-ნ სალავიოვს უმაღლეს თანამდებობაზე ნიშნავენო.

ტასიკო.

—

**თიანეთი.** შენმა მათრახმა, ეშმაკო,
სულ მთლად არია „საშიკო“,
მგონი გაგიჟდა კიდევაც
ის აღარ არის რაც იყო.
სჩანს ორგანიზმი თავისა
იმისი ორათ გაიყო,
ბევრი გვიკურთხა მე და შენც
„დურმიშხანული“ სხვა იყო.

რა წამს გაიგო, ძმაო ჯან
რო მე ვიჩივლე შენთანა,
რო მისი გამათრახება
მე მოვითხოვე შენგანა;
გაგიჟდა, გადაირია
და შემიყარა ქვეყანა,
თან დადის თავსა მართლულობს
თფილისს, თიანეთს ყველგანა.

თურქაძე მღვდელსაც, ამბობენ
გააცივ-გააცხელაო,
იმასაც მოგახსენებენ
ბოქაულს სთხოვა შველაო.
რამდენათ მართალი არის
ეშმაკმა უწყის ეს ყველა,
მე კი ეს ვიცი ჯავრისგან
გაუსივდება ნაღველა.
თუმცა კი ქვეშქვეშა არის
შეჩვენებული წყეული,
„დურმიშხანულის“ მეთოდში
ნაცადი, გამოჩვეული.
მეხუთე წელიწადია
რაც გახდა ეშმაკეული
რაც ერწოელების სისხლში
მან გაიბანა სხეული.
შველა მე'ც მქონდეს და შენაც
რომ აწ დაეცა თავზარი,
შენი მათრახის სიმწვავემ
სულ აურია დავთარი.
„მგელი-ოღლიცა“ ღვთის მადლმა
სიწვავისგან ჰყრის ტლინკებსა,
მეტის მეტ სიბრაზისაგან
შუბლზედა იდებს თითებსა.
საკვირველია, თვის აზრით
„კაცი არა ჰყავთ ბადალი“
ახლა კი როგორც ველოდი
არ მოახდინა „სკანდალი“.
მიხა და ვანოც, ეშმაკჯან
გაწითლდენ გაგიხარიან,
როცა „ბარათი“ მიიღეს
ორნივ დაღონდნენ ძალიან.
გასაკრავ დასატუქსავნი
ერთის მხრივ არც კი არიან,
მაგრამ მე მინდა შეიგნონ
თავისი ვალი გვარიან.
„ლოლია“ ქალსაც, ძმობილო
ღვთის მადლმა ფერი ეცვალა,
შენი მათრახის სიმწვავემ
„სულ სხვანაირათ“ შესცვალა
ახლა მხოლოდ ოთხს ამათგანს
კიდევ უცხუნე კარგათა,
მღვდელს, მგელიოღლის, ლოლიას,
საქიოს უფრო მაგრათა.
მიხა და ვანოს ეყოფა
აწ გაახილეს თვალია,
უსაქმურობა გადასდეს
შეიგნეს თავის ვალია.

ცხო-მთიული.

პროვინციის მოღვაწეები.

(ხონი)

**ალექსანდრე ოქ. ბახტაძე** (იგივე „კოტიკი“)

7—8 წელიწადია, რაც ალექსანდრე (იგივე „კოტიკი“) დ. ხონში „მოღვაწეობს“.

ხონის სემინარიის კურსის დასრულების შემდეგ იგი დაინიშნა მასწავლებლათ ს. კულაშში კ. მკურნალთან, რომლისაგან ბევრი რამ პრაქტიკული გამოცდილება მიიღო და ასე გამოცდილი — იქიდან გადმოყვანილ იქნა დ. ხონში, ივან·დიდის ორკლასიან სასწავლებელში — „სმოტრიტელ“ ვლ. მაჭარაძის „პომოშნიკათ“, რომელ თანამდებობას დღემდე პირნათლათ ასრულებს.

„კოტიკ“ (იგივე ალექსანდრე) ჩინებული „რედენტია“, რისთვისაც იგი მოწვეულია გაკვეთილების მასწავლებლათ ხონის სხვა და სხვა სასწავლებლებში: (სახელოსნო სკოლა, ქალების მარიამის სასწავლებელი და ვაჟების პროგიმნაზია), რომელი შრომისათვის ჯამაგირსაც კარგს ღებულობს. ასე და ამ რიგათ, ორკლასიან სკოლის „უჩიტელი“ „პომოშნიკი“ და სხვა და სხვა სასწავლებლის „რედენტი“ იგი, როგორც ბოროტი ენები გადმოგვცემენ, ქანქარის სიყვარულისა გამო თურმე „კომისიონერობასაც“ ეწევა, რაც, რასაკვირველია, ხელს შეუშლის თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებაში. — პირადი ღირსება მაგისი გამოიხატება უფროსების ლაქიობაში და თუ დასჭირდა ხანდისხან „დურმიშხანულ მეთოდის“ წარმოებაშიაც. — თავისი „პატიოსანი“ ყოფაქცევით ყველა უფროსებთან კარგი განწყობილება აქვს და, თუ „კომისიონერობას“ კი უღალატებს, უფრო „თბილ ადგილსაც“ იშოვის ხონის სასწავლებლებში. „კოტიკი“ ჩინებული დაახლოვებულია ბრწყინვალე თავადებთან და „ჭეშმარიტ ხუცებთან“, ასე რომ, თუ მოისურვებს, პირველთა „პროტექციით“ თავადობას თუ არა, აზნაურობას მაინც დაამტკიცებს, ხოლო უკანასკნელთა ლოცვა-კურთხევით — მღვდლობასაც იშოვის...

„ერთობის“ დროს „კოტიკს“, როგორც გამოცდილ ხონელს, ძალიან ფრთხილად ეჭირა თავი: ყველა პარტიას თავისიანათ აჩვენებდა თავს, ასე რომ ეჭვის აღება ყოვლად შეუძლებელი იყო.

გასული წლის ბოლოს ყოჩაღობა გამოიჩინა მანტაყისტების დაჭერაში, რაც ადგილობრივი პოლიციის დახმარებით ისე მოხერხებულად შეასრულა, რომ ტოლმაჩევს რომ შეეტყო პირდაპირ ბოქაულობას გააკრავდა და თავისკენ დაიბარებდა ხოლმე...

ს.-დ -ბის ლანძღვა·გინებაში, (რასაკვირველია სიტყვიერათ), არ ჩამოუვარდება აკობია-ხეობელ „იმერელ უჩიტელს“ და აგრეთვე ყველა „ჭეშმარიტ ქართველთა“ გმირებს და ამ მხრივ „კოტიკის“ მოღვაწეობა წმინდა ფედერალისტურია, ხოლო რაც შეეხება მის ნამდვილ მიმართულებას, იგი უმცროსი ძმა არის პურიშკევიჩ-ტიმოშკინების.

№ 3.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გურულ მამასახლის მ. ს-ძის სიმღერა.

მუდამ ვ ტირი, ცრემლიც თვალზე
არ შემშრება მე ჩემს დღეში,
ჯოჯოხეთმა არ მინდომა,
არც მაქვს ბინა სამოთხეში.
რაც ბოროტება მიქნია
ყველა ცხვირში მოდის ძმარათ,
თავ-შესაფარს ვერ ვპოულობ
ვერც მთაში და ვეღარც ბარათ.
მოველოდი განა ასეთს,
ქრისტავმა დღე დამაყენა,
გამიჯავრდა, გამირისხდა
სულაც არ მათქმია ენა.
თანაც ზნაკი ამაცალა,
კანდიდატსა გადაჰკიდა,
ღმერთო! საიქიოს ჰკითხე,
საჯაყო საქმე წამკიდა.
მამასახლისათ ვემსახურებ
აგერ არის ათი წელი,
ამ ხნის განმავლობაში კი
ბევრს შეუკარ ფეხი-ხელი.
სხვებიც კიდო საქმეები
ჩავიდინე საგმირონი,
ჩემთვის ყველა ერთი იყო
თუნდაც მეცხო თვით მირონი,
მაგრამ ეხლა, ეხლა რა ვქნა,
მიჩვეულსა რომ მაკლდება?
რაც არ ქნილა ამდენ ხანში,
ყველა ერთათ ჩემთან ხდება.
რომ მახსოვდეს ჩემი ყორყი
არაყისგან არ გამშრალა,
ეხლა ღმერთმაც დამივიწყა
და კაცმაც არ შემიბრალა.

ქაჯი.



## „ეშმაკის მათრახის“ ფოსტა

**ფოთი.** მერცხალს. თქვენი:

„ქალებს კუდში დასდევს
აღარა ეშვება
თუ სადმე იპოვა
გულზე დაეხვევა
არავინ გადურჩება „უიმასქნელია“
კოწია იქნება უჭველია“.

დიადი პოეტური ნაწარმოებია. ამიტომ ჩვენ განვიძრახეთ გადავსცეთ ის ევ. დვალს, რომელიც ამ მოკლე ხანში აპირებს ლექსთა კრებულის გამოცემას.

**ქუთაისი.** მადრიელს. საოლქო სასამართლოს ახალ სეკრეტარს, როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, შეურაცხყოფა მოუყენებია. კიდევ კარგი, რომ ასე იაფათ გადარჩენილხართ. სპერმაკუდინს ვერ გამოგიგზავნით.

**საჭილაო.** ჭიჭკიტიას. მღვდელი ჯანელიძე და მომრიგებელი შუამავალი გადაგვერიაო, იწერებით. სამწუხაროთ გაუწყებთ, რომ გიჟების წამალი ჩვენ არა გვაქვს.

**ბაქო.** ჯოჯოხეთის მაშხალას. თქვენი „ჯაშუში“ და „ტუსაღი“ არ დაიბეჭდება.

**ნაგომარი.** „წყლის შაშვს“—თუ გზათ მოგვი და გამოვლა, დიმიტრი მჟავანაძეს ცოტას შევიმათრახებთ. ეხლა კი არა გვცალია.

**პაშა ზოდელავას.** თქვენი მწუხარების მონაწილე ვართ, მაგრამ საუბედუროთ „უბედური დედა განშორებულ შვილისადმი“ ვერ დაიბეჭდება. ჩვენი რედაქციის ადრესი გცოდნიათ და რაღას გვეკითხებით?

**ს. ბალაჯარა.** სადგურის მუშებს. ჩვენი ჟურნალის № 37-ში მოთავსებული წერილი ბალაჯარიდან უთუოთ ან „ბუფეტჩიკებზე“ იქნება და ან სადგურის მუშებზე. თქვენ გამოერიგდით.

**ჩოხატაური.** აქაურს. ნუ თუ გ. კეკელიძე ასე დიდ როლს თამაშობს მაქ, რომ მხოლოდ მაზე შეიძლება წერა და სხვა არაფერზე. მართლაც გეტყობათ რაღაც კერძო ინტერესი უნდა გქონდეთ. დაამტკიცეთ წინაალმდეგი და დავბეჭდავთ. თუ არ დაამტკიცეთ, მათრახი თქვენსკენ არის მომართული.

**ოზურგეთი**—ხატს. წმინდა გიორგის ხატს გეფიცებით, რომ თქვენ წერილს ვერ დავბეჭდავთ. თამარა და მიხაკო ბევრია და ყველასთვის სადა ვცალია.

**იქვე.** მოღვაწე ნოქარს. არ დაიბეჭდება.

**ბალახანა.** თოთოლას თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ბაქო.** კ. მაიაშვილს. „თანამედროვე იუდები“ არ იბეჭდება.

**ჭიათურა.** ნოქარს. სეითოსთვის ისიც დიდია, რაც გამოვგზავნეთ სპერმაკუდინი და კიდევ თხოულობთ? თუ ძალიან გაეხსნა მადა, სასაქმებელი ზეთი მიაღებიეთ.

**ს. ჭალა.** უჯმაჯურას.

„ლექსის წერა დაგიწყია
თოლაბულთა გმირსაო,
ეცადე, რომ არ აგსვან
დიდ ჩოჩორა ვირსაო“.

სწორეთ, რომ უჯმაჯურული ლექსია. იქნება „სანიშადუროთ“ გამოდგეს.

**ყვირილა.** შავგვრემანს. „სტოროჟი“ დიმიტრი ჯიქიძე შაურათ ნაყიდ ღვინოს მოსამსახურეებზე აბაზათ ყიდისო,

დიდი ამბავია თქვენძა მზემ. მაშ ვაჭრობა რას ქვია? შეიძლება ჩვენ დიმიტრის გავუგზავნოთ სპერმაკუდინი, ბოთლი ორ შაურათ და თქვენ რომ ექვს შაურათ მოგყიდოს, ნუ გაგიკვირდებათ.

**გუას**. არ დაიბეჭდება.

**მიხაილოვო**. ქინკას.

„უცხუნე ჩვენსა ხუცესსა
სახელად ნიკიფორესა
მ ო გ ვ ბ ე ზ რ დ ა მისი ქცევანი
უსირცხვილო და ბნელია
დარბის და დაძრწის ღამ-ღამე
როგორც მსუნაგი მელია“.

ირბინოს! ალბათ საქმე აქვს და დარბის? ჩვენც მოვვბეზრდა ხუცების ამბები.

**ბორჯომი**. ნათათრალს. როგორც თქვენი გამოგზავნილი სიიდან სჩანს, მთელი ბორჯომი გასამათრახებელი ყოფილა. აქედან ძნელია, ჩქარა „სადაჩოთ“ წამოვალთ და ყველასთან ერთათ შენც მიგამათრახებთ თუ გინდათ.

**ხარაგოული**. გატყაულ ეშმაკს. როგორც სჩანს თქვენ ბლაღოჩინ ვეჯხვაძეს თქვენთვისაც გაუშპია ტყავი და ძალიან კარგიც უქნია. აბა რა დასაბეჭდი ამბავია, ხუცესი ხალხს ტყავს აძრობსო. ბიჭო! მაშ რა ქნას? ეშმაკიც კი გაუტყავებია და ღმერთს ხომ ველარ გაატყავებდა?!

**ბაღდადი**. ტუცაძეს.

„მსურს რომ ეშმაკო გაგაცნო
შრომის მოღვაწე მღვდელია,
წელში წვრილი და მაღალი
სოფლელი ბაღდადელია,
ბეჟან ბორჩხაძის ცოლზედა
აღარ აიღო ხელია...

სწორეთ „სადვალო“ ლექსია და გადავსცემთ.

**ლანჩხუთი** ინჟინმას. ელიბო, პოლინე და ბათურა საყვედურს გამოგიცხადებენ ასეთ უხეირო ლექსისთვის.

„ლანჩხუთის სამი დანები
ელი, პოლი და ბათომი (მაშ ბათუმის დაძახება არ უნდა ეწყინოს?)
ჩვენი შვილებს ბატონ-პატრონნი
თუ ვინმეს გინდათ, რომ ნახოთ
ვეჩერ-ბალებზე იპოვით“.

**გუდაუთი**. ჩანგალს. ელიზბარა ტაპიძეზე ჩვეულებრივი მათრახიც გასჭრის, სპეომაკუდინის მაგიერ „მონაყილი“ ადესა დაალევიეთ.

**შემოქმედი**. ზითელს.

„არტონ ვანიძის მეუღლემ
აქეთ აიგდო თავია
შენი მათრახის წვერი ერთი
იმისთვის კაია.
ჩვენი დავიწყებიზა
შენ კი გაგიწყრა ღმერთია“.

საუცხოვო ლექსია, მაგრამ ვანაძის მეუღლეზე უფრო თქვენ აგიგდიათ თავი, რომ ცენტერაძის მოლი ზანსავით წყევლა დაგიწყიათ.

**ყვირილა**. სვირელ მგზავრს. ადგურის კასსირი გაჩეჩილაძე თითო-ოროლ კაპეიკს იღებს მგზავრებიდანო. დიდი ამბავია თქვენმა მზემ. პატიოსანი კაცი ყოფილა რომ წვრილ ფულს სჯერდება და აბაზობით არ იღებს.

**გუბი**. არ იქომს. თქვენი ლექსის დაბეჭდვა არ „იქომს“.

კაკილას, დევნილს, კოდანაშვილს, ვარლამს, ნიბლიას, სხვაველ მეთვალყურეს, დავლიანიძეს, ხვანცარიკს, ბოგანოს, გეწაძეს, წოვიანოვს, ძაძაბის, სტუმრათ სიცხეს—არ დაიბეჭდება.



## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! გაზ. „ეშმაკის მათრახის“ 23 ნომერში მოთავსებული იყო „ცხვირა“-ს მიერ ხელ მოწერილი წერილი ამ სათაურით: „ს. მათხოჯი“ და 28 ნომერში „ეშმაკუნას“ წერილი ამ სათაურით: „სპერმაკუდინის ზაკაზები ხონის რაიონიდან“. წერილებში ცუდი ყოფა-ქცევისათვის გაკიცხულნი არიან ზოგიერთი პირეპი. ამათ შორის არიან ფოთის არტელში მომუშავე პირები, რომლებსაც „ცხვირა“ ზნე დაცემულს მოქმედებას აბრალებს.

ამ წერილებმა ძალიან აამხედრა ჩემს წინაალმდეგ როგორც ბრალდებულნი, ისე სხვა პირებიც. (ვითომდა წერილების ავტორი მე ვიყო) განსაკუთრებით ფოთის არტელჩიკები, რომლებიც სიკვდილით მემუქრებიან. უმორჩილესად გთხოვ ბ. რედაქტორო გამოაქვეყნოთ, რომ წერილების ავტორი მე არ ვარ.

გიორგი ა. ხუროძე.

რედაქცია აცხადებს, რომ ზემოთ მოხსენებული წერილის ავტორი მ. ხუროძე არ არის და ნუ მოკლავენ.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ ს. ქუტირიდან მოწერილი ლექსები, „უკუდო ეშმაკის“ ფსევდონიმით, მე არ მეკუთნის.

ვ. რუხაძე.

რუხაძე „უკუდო ეშმაკი“ არ არის, რედ.







ქორწინება.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა კრების გამო.




„შავი ქვის" ფლავი

თავმჯდომარე.
ბატონებო! გადმოყავით
თქვენი მადლიანი მკლავი,
კრებამ ასე გადაწყვიტა
შეიჭამოს აგი ფლავი.

მით უმეტეს ამის ჭამა
იმათ არის სასიამო —
ცოტა მომხეულიც ვართ
ამდენ კრიზისების გამო.

მოითხოვეთ ყველგან
მ. ლაღიძის და ამხანაგობის საუკეთესო ქარხნის წყალი!
გემო და არომატი მშვენიერი აქვს.
ქარხანასთან დეკორატიული მცენარეებით ლამაზათ მორთული აივანია, სადაც შეიძლება ყინულივით ცივი წყლის სმა.
ქარხანა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში. ტელეფონი 411. (13—1)

გამოვიდა და იყიდება
პ. ირეთელის
5 მოქმედებიანი პიესა
„დამარცხებულნი"
სტამბა „შრომა" რუს. ქ. № 3.
ფასი 30 კაპ.